



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

რექტორი პროფ. გიორგი ღავთაძე

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №
მაისი 2011 წელი

„დამტკიცებულია“

დეკანი ასოც. პროფ. გოდერძი ვაჭრიძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №
მაისი 2011 წელი

საბაკალავრო პროგრამა

ფილოსოფია

1. პროგრამის სახელწოდება: ფილოსოფია

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოსოფიაში Bachelor of Arts Philosophy

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი.

მათ შორის: ძირითადი ნაწილი (Major) – 180 ECTS კრედიტი

დამატებითი ნაწილი (Minor) - 60 ECTS კრედიტი

საბაკალავრო პროგრამა სასწავლო დისციპლინათა შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები 15 კრედიტი.

საფაკულტეტო სავალდებულო კურსები 20 კრედიტი,

სავალდებულო კურსები 115 კრედიტი,

არჩევითი კურსები 20 კრედიტი,

თავისუფალი კრედიტები 10 კრედიტი

მეორადი პროგრამის (minor) კრედიტები - 60 კრედიტი

(სტუდენტს უფლება აქვს უნივერსიტეტში არსებული მაინორ პროგრამებიდან იარჩიოს ერთ-ერთი)

4. სწავლების ენა: – ქართული

5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს: ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების (ანტიკური, შუასაუკუნეების, ახალი დროისა და უახლესი), ძირითად მიმდინარეობათა თეორიების, ფილოსოფიური სისტემებისა და სხვადასხვა ფილოსოფოსთა შეხედულებების, ფილოსოფიის, როგორც კულტურის ისტორიის შემადგენელი ნაწილის ცოდნა; ადამიანის ადგილისა და ღირებულებების განსაზღვრისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები.

დასაქმების სფერო: ფილოსოფიის ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო თუ კერძო სტურუქტურებსა და ორგანიზაციებში, არასამთავრობო სექტორში, კულტურის სფეროში, სამეცნიერო, კვლევით დაწესებულებებში.

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

7. სწავლის შედეგი:

- **ცოდნა და გაცნობიერება:** კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა იცის ფილოსოფიის კანონები, კატეგორიები, ცნებები, ძირითადი პრობლემები; ფილოსოფიისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიული ეპოქების და ძირითად მიმდინარეობათა თეორიები და მეთოდოლოგია.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** იყენებს ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციების ცოდნას კონკრეტული ფილოსოფიური პრობლემების გადასაჭრელად, აქვს მათი შეფასებისა და იდენტიფიცირების უნარი.

- **დასკვნის უნარი:** ბაკალავრს აქვს საგნებსა და მოვლენებში მთავარისა და არაარსებითის დანახვის უნარი. შეუძლია პრობლემის ანალიზი და წანამძღვრებიდან დასკვნის (ინდუქციური, დედუქციური) გამოტანის უნარი.
- **კომუნიკაციის უნარი:** აქვს ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ადექვატური გამოყენებისა და თვალსაზრისების დალაგების უნარი ზეპირი და წერილობითი ფორმით.
- **სწავლის უნარი:** ბაკალავრს შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს საგნისათვის საჭირო თემატიკა და ლიტერატურა, განსაზღვროს თავისი კომპეტენციების ზღვარი
- **ღირებულებები:** კუსდამთავრებულს აქვს ნებისა და რწმენის თავისუფლების, სხვისი აზრის პატივისცემის, ურთიერთობის ხელოვნების უნარი და მოქალაქეობრივი პოზიციები.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

საკონტაქტო: პასიური და აქტიური (სალექციო ფორმით)

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:

სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია;

წიგნზე მუშაობის მეთოდი:

დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით;

წერთი მუშაობის მეთოდი:

ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება;

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

ევრისტიკული მეთოდი:

სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივი გადაწყვეტა, ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით განხორციელება.

ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის მეთოდი:

- სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ, ანუ კონკრეტულიდან ზოგადისაკენ (ინდუქციური მეთოდი);
- ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესი, ანუ პროცესი ზოგადიდან კონკრეტულისაკენ (დედუქციური მეთოდი);
- სასწავლო მასალის, როგორც ერთიანი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლა, რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება (ანალიზის მეთოდი);

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

(დაწვრილებით სილაბუსებში)

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და

მატერიალური რესურსის შესახებ: უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები,

ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

პროგრამას განახორციელებს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი.

სასწავლო გეგმა

№	კურსი	სკ	ლ./ჯგ.მუშ./დამ. მუშ	კრედი -ტთა რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (15 კრედიტი)													
1	უცხო ენა 1	5	0.75.50	5	5								
2	უცხო ენა 2	5	0.75.50	5		5							
3	უცხო ენა 3	5	0.75.50	5			5						
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)													
4	შესავალი ისტორიის მეცნიერებაში	3	30.15.80	5	5								
5	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	4	30.30.65	5	5								
6	ფილოსოფიის შესავალი	3	30.15.80	5	5								
7	ქართული ფილოლოგიის შესავალი	3	30.15.80	5	5								
სავალდებულო კურსები(115 კრედიტი)													
8	ფილოსოფიის ზოგადი კურსი	3	30.15.80	5		5							
9	ანტიკური ფილოსოფია	3	30.15.80	5		5							
10	რელიგიათმცოდნეობა	3	30.15.80	5		5							
11	შუა საუკუნეების ფილოსოფია	3	30.15.80	5			5						
12	აღორძინების ხანის ფილოსოფია	3	30.15.80	5				5					
13	ლოგიკა	3	30.15.80	5			5						
14	ორატორული ხელოვნება	3	30.15.80	5		5							
15	ახალი დროის ფილოსოფია	3	30.15.80	5				5					
16	ქართული ფილოსოფიის ისტორია	3	30.15.80	5		5							
17	რელიგიის ფილოსოფია	3	30.15.80	5				5					
18	XX საუკუნის ფილოსოფია	3	30.15.80	5								5	
19	ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია	3	30.15.80	5					5				
20	ფსიქოლოგია	3	30.15.80	5				5					

21	ისტორიის ფილოსოფია	3	30.15.80	5					5				
22	ესთეტიკა	3	30.15.80	5						5			
23	ფილოსოფიური ანთროპოლოგია	3	30.15.80	5						5			
24	თანამედროვე დასავლური სოციოლოგია	3	30.15.80	5						5			
25	კულტურის ფილოსოფია	3	30.15.80	5							5		
26	კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის მეთოდები	3	30.15.80	5							5		
27	სიცოცხლის ფილოსოფია	3	30.15.80	5							5		
28	ეთიკა	3	30.15.80	5								5	
29	ადმოსავლური ფილოსოფია	3	30.15.80	5								5	
30	სოციოლოგია	3	30.15.80	5							5		
არჩევითი კურსები (20 კრედიტი - 4 კურსი)													
	არჩევითი კურსი - 1	3	30.15.80	5					5				
1.1	სოციალური ფსიქოლოგია												
1.2	საინფორმაციო ტექნოლოგიები												
1.3	მეორე უცხო ენა	5	0.75.50										
	არჩევითი კურსი - 2	3	30.15.80	5					5				
2.1	ნეოპლატონიზმი												
2.2	პოსტმოდერნიზმი												
2.3	ხელოვნების ფილოსოფია												
2.4	მეორე უცხო ენა	5	0.75.50										
	არჩევითი კურსი - 3	3	30.15.80	5					5				
3.1	განათლების ფსიქოლოგია												
3.2	შემეცნების თეორია												
3.3	მეორე უცხო ენა	5	0.75.50										
	არჩევითი კურსი - 4	3	30.15.80	5					5				
4.1	განწყობის ფსიქოლოგია												
4.2	ცნობიერების ფილოსოფიური თეორია												
	თავისუფალი კრედიტები			10	5							5	
	დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60				10	10	10	10	10	5

		240	30	30	30	30	30	30	30	30	
--	--	-----	----	----	----	----	----	----	----	----	--

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/ჯგ.მუშ./დამ.მუშ. - ლექცია/ჯგუფში მუშაობა/დამოუკიდებელი მუშაობა
5 კრედიტი - 125 საათი

სულ: 240 კრედიტები

